ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 31

8 ნოემბერი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, მ. დარჩია, ა. ლაშხი, ნ. ვაჩეიშვილი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. რიმა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ოთარ გრიგოლია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ირაკლი ნადირაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ, რომელიც მიესალმა სხდომის მონაწილეებს და განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია ერთი მხრივ, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გადმოსაცემი ტრანსფერის - 100 000,0 ათასი ლარის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით; ასევე, ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ვალდებულებების ზრდის გეგმით გათვალისწინებული 74 820,0 ათასი ლარის შემცირებით. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 25 180,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 100 450,8 ათასი ლარის ოდენობით.

ბატონმა გაიოზმა ასევე, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე. ამასთანავე, ბიუჯეტში სხვადასხვა თანხების გადანაწილება ხორციელდება შემდეგნაირად:

იზრდება გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 187,9 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 5 606,5 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 31 162.2 ათასი ლარით; ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 450,0 ათასი ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) 1 020,2 ათასი ლარით; დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 2 200,0 ათასი ლარით; დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 400,0 ათასი ლარით; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 275,0 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის ინფორმაციით, აგრეთვე იზრდება დედაქალაქის ბიუჯეტის შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები: ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 300,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 495,0 ათასი ლარით; სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარება (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარით; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 26,1 ათასი ლარით; კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 75,0 ათასი ლარით; მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 282,0 ათასი ლარით; საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) – 240,0 ათასი ლარით; კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 25,0 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 500,0 ათასი ლარით.

მისივე განმარტებით, მცირდება თბილისის ბიუჯეტის შემდეგი პრგორგამები და ქვეპროგრამები: გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში (კოდი 01 01 12) – 11,5 ათასი ლარით; საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 20,0 ათასი ლარით; მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 143,0 ათასი ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 11 850,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 420,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 160,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) – 27,9 ათასი ლარით; დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 21,5 ათასი ლარით; მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) – 140,0 ათასი ლარით.

თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) მცირდება 600,0 ათასი ლარით; ასევე მცირდება ,,C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა (კოდი 06 01 12) 55,0 ათასი ლარით; სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 20,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) – 100,0 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება გლდანის რაიონში (კოდი

06 02 14 06) – 26,1 ათასი ლარით; უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) – 162,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) – 100,0 ათასი ლარით; დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 120,0 ათასი ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) – 45,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 30,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 145,0 ათასი ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 4 318,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) – 37,0 ათასი ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) – 2 007,9 ათასი ლარით.

ბატონი გაიოზის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილების პროექტის წარდგენის შემდეგ სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში გაგრძელდა:

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ სხდომას ისტორიული უწოდა, ვინაიდან თბილისის ბიუჯეტმა თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. მან ხაზგასმით განმარტა, რომ 75 მილიონი ლარი მიიმართება საკრედიტო ხაზის უზრუნველსაყოფად ამასთანავე, სთხოვა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს დაეკონკრეტებინა, აღნიშნული საკრედიტო ხაზის უზრუნველყოფილი საპროცენტო ხარჯის ოდენობა და წარმოედგინა ინფორმაცია საბიუჯეტო პროგრამების შემცირების მიზეზების შესახებ.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ საკრედიტო ხაზით მომსახურებისთვის თბილისს ხარჯი არ გაუწევია, რადგან არ გამოუყენებია. ხოლო შემცირებების შესახებ აღნიშნა, რომ უმეტესობა სატენდერო ეკონომიებისა და ზოგიერთი სამუშაოს მომავალში გადასვლით მიზეზით განპირობებული.

ბატონი ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა საბიუჯეტო კოდის 01 02 02-ის 31 მლნ ლარით ზრდის მიზეზით, მაშინ როდესაც წლის დასრულებამდე ერთი თვეა დარჩენილი; აგრეთვე თბილისის განვითარების ფონდისა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შტატების ჯამში 13 ერთეულით ზრდის, ახალი შტატების ფუნქციებითა და მათთვის გათვალისწინებული სახელფასო ფონდის ოდენობით.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გამოყოფილი 100 მილიონი ლარიდან, თანხის ნაწილი მიემართება დამატებითი ღირებულების გადასახადის დაფარვისთვისა და საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დასახურად. შტატების მატებასთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ როგორც სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ისე თბილისის განვითარების ფონდის არსებული შტატგარეშე მომსახურეები გადადიან შტატში. საკითხთან მიმართებით ბატონმა ირაკლი ზარქუამ დაამატა, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს დედაქალაქისთვის და არ არის გამორიცხული მსგავსი საჭიროება მომავალშიც დადგეს, ვინაიდან სააგენტო უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი აჭურვილობითა და საკმარისი თანამშრომლებით.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ბიუჯეტის მატება დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ამ გზით მოქალაქეთა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ხდება. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ვინაიდან სკოლამდელი აღზრდის სისტემის მიმართ საზოგადოებაში მაღალი ინტერესია, წარმოდგენილი ცვლილებებთან მიმართებით დეტალური ინფორმაციის მოწოდების მიზნით სხდომას ესწრება ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ბატონი ირაკლი თურმანიძე და სთხოვა მას დეტალურად წარმოედგინა ინფორმაცია.

ბატონი ირაკლი თურმანიძის ინფორმაციით, თბილისის ბაგა-ბაღები კონსტრუქციულ მდგრადობაზე შეამოწმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ და გამოავლინა რამდენიმე ბაღი, სადაც სააღმზრდელო პროცესის გაგრძელება სახიფათო იყო და საჭიროებდა დემონტაჟს და ახალი შენობის აშენებას. ბიუჯეტით წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, სკოლამდელი აღზრდის სისტემაზე თანხების შემცირების მიზეზი კი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ახალი მშენებლობების პროექტებზე დასკვნების წარმოდგენის დროში შეფერხება წარმოადგენს, რის შედეგადაც მშენებლობები გადადის 2020 წელს. შედეგად, ბატონი ირაკლი თურმანიძის ინფორმაციით, 2019 წლის ბიუჯეტიდან ამოღებული იქნება ქალაქ თბილისის მე-6, მე-14, 84-ე და ვარკეთილის საბავშვო ბაღის მშენებლობები.

საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა რიმა ბერაძემ მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს, მოსახლეობის საჭიროებებისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების მიმართვის გათვალისწინებისთვის და განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული N41 დადგენილებით, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე, აკრძალულია ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა 2000 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართის ტერიტორიაზე, თუმცა ჩუღურეთის, მთაწმინდის, დიდუბის, ისნის

რაიონებში აღნიშნული ფართის მუნიციპალური მიწების არარსებობის გამო საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ დაუშვა გამონაკლისი აღნიშნული რაიონებისთვის, შედეგად სააგენტომ უკვე შეისყიდა პროექტები, რომლის მიხედვითაც 2020 წლიდან დაიწყება რეაბილიტაციის სამუშაოები.

საკრებულოს წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა უფასო სასადილოებისა და თავშესაფრების საბიუჯეტო თანხების შემცირების მიზეზით, ასევე საზოგადოებისთის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების საბიუჯეტო თანხების ცვლილებით, რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ მუნიციპალური თავშესაფრის დაფინანსება 100 000 ლარით მცირდება რადგან დაგეგმილი იყო მშენებლობა, თუმცა ტენდერი ჩაიშალა, მეორე მხრივ კი უფასო სასადილოების ბენეფიციარების რიცხოვნობიდან გამომდინარე, დარჩა გაუხარჯავი თანხები, თუმცა ეს თანხები ბიუჯეტის სხვა მუხლებში არ ნაწილდება და იგივე მიმართულებას მოხმარდება.

ქალბატონი მარიკა დარჩიას კითხვის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა, ბატონმა ოთარ გრიგოლიამ განმარტა, რომ პროგრამის დაფინანსება არ მცირდება და ადგილი აქვს ერთი დაწესებულებიდან მეორე დაწესებულებისთვის თანხის გადანაწილებას.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ კითხვით მიმართა ბატონ ირაკლი თურმანიძეს გლდანში, გმირ კურსანტთა ქუჩაზე ახალი საბავშო ბაგა-ბაღის აშენების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მითითებულ მისამართზე მნიშვნელოვნად საჭიროა ახალი ბაგა-ბაღი, რაზეც ბატონმა ირაკლი თურმანიძემგანმარტა, რომ ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ადგილზე და გამოიკვეთა მიწასთან დაკავშირებული სადაო საკითხები, მათ შორის, მიმდებარედ უნებართვოდა აშენებული საცხოვრებელი სახლები. მისი თქმით, თუ სადაო საკითხები გადაწყდება, მომავალ წელს შედგება ახალი ბაღის მშენებლობის პროექტი.

საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა უფასო სასადილოების დაფინანსების შემცირების სავარაუდო მიზეზად ან მუნიციპალური სერვისის დაბალი ხარისხი დაასახელა ან დედაქალაქში მშიერი ადამიანების არარსებობა, რაც მისი თქმით ნაკლებსავარაუდოა.

ბატონმა ლევან ხაბეიშვილმა ქალბატონ რიმა ბერაძეს საკრებულოს სარევიზიო კომისიის დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და კეთილმოწყობით სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგის პროცესში აქტიური ჩართულობის წინადადებით მიმართა, ვინაიდან მისი თქმით, გარკვეული სამუშაოები დროში იწელება და მაგალითად ვარკეთილი III-ის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების 6 თვეზე მეტხანს

გაგრძელება დაასახელა. ასევე, აღნიშნა, რომ ვარკეთილი III-ის მე-3ა მიკრორაიონში, სადაც სკვერი ოქტომბრის თვეში უნდა დასრულებილიყო, დედაქალაქის მერიამ მიიტანა დასამონტაჟებელი სკამები და საბავშვო ატრაქციონები, რომელიც შემდეგში უკან წაიღო. დეპუტატის თქმით, ვინაიდან ნოემბრის თვეშიც კი სამუშაოები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ეს ნიშნავს, რომ კომპანია არ ასრულებს ვალდებულებებს და საჭიროა მასთან ხელშეკრულების გაწყვეტა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, ირაკლი ზარქუამ, ირაკლი ნადირაძემ, რიმა ბერაძემ, თამარ ტალიაშვილმა, ირაკლი თურმანიძემ, მარიკა დარჩიამ, ოთარ გრიგოლიამ, გულია გოცირიძემ, ლევან ხაბეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე	_____	6
წინააღმდეგი	_____	1 (კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა	_____	0

გადაწყვიტეს: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თამარ ტალიაშვილი